გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 54
(11 920)

15 – 18 ივლისი, 2005 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომერშია:


- ძალოსნობა ძალას იკრებს
- ფიფამ წესები შეცვალა
- ქართული ფეხბურთის ახალი ამბები
- ჩვენი კალათბურთელები მეოთხედფინალში
- ისევ აფხაზეთის ფეხბურთზე
- ბერეზოვსკი და აბრამოვიჩი შეიბნენ...
- იყიდეთ შარაპოვას ფეხები!
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი




## „ლოკომოტივი" იმედიანად მოძრაობს

**უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი. 14 ივლისი.**
**ბანანცი (სომხეთი) – ლოკომოტივი (თბილისი, საქართველო) 2-3**

**გოლები:** 0-1 ალავერდაშვილი (42), 0-2 ქებაძე (47), 0-3 ?ჩრაზი (53), 1-3 აკოფიანი (82), 2-3 კარაბახციანი (88).

ერევანში თავი ნამდვილად გამოიჩინა ადგილობრივ „ბანანცთან" მოპაექრე თბილისის „ლოკომოტივმა". გასვლით მატჩში თბილისელები მასპინძლებს ერთი ხანობა იმედიანად გაუძალიანდნენ, მერე თანდათან ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს და მასპინძლებს სამი მშრალი გოლი გაუტანეს. ასეთი ანგარიში უკვე იმას ნიშნავს, რომ სრულად ჯაბნი მეტოქეს, მაგრამ სტუმრებმა ზედმეტი თავდაჯერებულობა გამოავლინეს და ორი საპასუხო ბურთი მიიღეს საკუთარ კარში, მაგრამ რაც იყო, იყო, მთავარია, „ლოკომოტივი" შინ გამარჯვებული ბრუნდება და წინ მოძრაობის გაგრძელების რეალურ შანსს ინარჩუნებს.

## მუხტდაკარგული „ტორპედო"

**უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი. 14 ივლისი.**

**თბილისი. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი. 1000 მაყურებელი**

**ტორპედო (საქართველო) – ბატე (ბელარუსი) 0-1**



**ტორპედო:** რევიშვილი, რატი ბარაბაძე, გამეზარდაშვილი (ფრანგიშვილი,80), დ. ბაქრაძე, რაქვიაშვილი, სოსელია (კ. შალამბერიძე, 52), ზ. ჩხეტიანი (ტეხოვი, 46), დ. ბოლქვაძე, გ. ახალაია, კაკალაძე, რ. ჯიქია.

**ბატე:** ფედაროვიჩი, ლიხტაროვიჩი, მოლახი, რადკოვი, ბახა, ხარკუშა, ერმაკოვიჩი, რაბნენკა (ვიშნიაკოვი, 62), ლებედევი (ბრანაუ, 82), კობეცი, სტასევიჩი (ზაუნერჩიკი, 72).

**გოლი:** 0-1 ბახა (27 პ.)

**გააფრთხილეს:** რაქვიაშვილი (7), ბაქრაძე (26), სოსელია (41), ზ. ჩხეტიანი (43), ერმაკოვიჩი (60).

84-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა კაკალაძემ.

**მსაჯი:** ს. მოენი (ნორვეგია).

ქუთაისელ ფეხბურთელებს თბილისელთა თვალწინ კარგი თამაში კი სურდათ, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო. „ტორპედო" „ბატეს" ვერ გაუმკლავდა. სამწუხაროდ, ევრო სარბიელზე ორი თბილისური გუნდის მსგავსად, ვერც ქუთაისელებმა ივარგეს. ბელორუსიაში ჩემპიონატი კარგახნის დაწყებულია და სტუმრებიც ფიზიკური კონდიციებით საგრძნობლად სჯობდნენ მასპინძლებს. უპირველესად, სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა მათი უპირატესობა გუშინდელ მატჩში. „ტორპედო" მეტოქეს მთლად ხელებდაშვებული არ დანებებია. შეხვედრის უმეტესი დრო თანაბრად ეპაექრა, უტევდა კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდა. ალბათ, ამის ბრალიც იყო, რომ მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე კაკალაძემ თერთმეტმეტრიანი დარტყმის რეალიზება ვერ მოახერხა და ანგარიშის გათანაბრების შანსი ხელიდან გაუშვა.

## უეფას თასის სხვა მატჩები

ბაკი (აზერბაიჯანი) — ჟილინა (სლოვაკეთი) 1-0
ეკრანასი (ლიტვა) — კორკ სიტი (ირლანდია) 0-2
ტეუტა (ალბანეთი) — შიროკი ბრიაგი (ბოსნია) 3-1
ელბასანი (ალბანეთი) — ვარდარი (მაკედონია) 1-1
ალიანსი (ფინეთი) — პეტანჟი (ლუქსემბურგი) 3-0
ბაშკიმი (მაკედონია) — ჟეპცე (ბოსნია) 0-0
ნისტრუ (მოლდოვა) — ხაზარი (აზერბაიჯანი) 3-1

## ცნობები სპორტული ორგანიზაციებიდან

◆ **დღეს,** 15 ივლისს, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში „შრომით სემესტრში" ...ჰანძის ისტორიული ძეგლების აღდგენის სამუშაოებზე გააცილებენ აკადემიის სტუდენტთა ბრიგადას.

◆ **დღეს,** 15 ივლისს, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის საქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს აეროსნობის ეროვნული ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა.

დასაწყისი 12 საათზე.

◆ **დღეს,** 15 ივლისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართება შეხვედრა სისტემაში შემავალი სპორტული სკოლების დირექტორებთან. იმსჯელებენ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე ბავშვთა სპორტის განვითარების სრულყოფის საკითხებზე.

## სეოკ-ის პრეს-სამსახურის განცხადება

მიმდინარე წლის ოქტომბერში თბილისში ნავარაუდევია ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონის **ვიქტორ სანეევის** სტუმრობა, გაიმართება მისი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო საღამო.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით განზრახულია ერთ წიგნად გამოიცეს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორთა მიერ ვიქტორ სანეევზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები — ნარკვევი, ინტერვიუ, პორტრეტი და სხვ.

წიგნში დასაბეჭდად მასალების შერჩევის მიზნით ავტორებს ვთხოვთ 25 ივლისამდე პუბლიკაციები მოგვაწოდონ სეოკ-ის ოფისში (დ. აღმაშენებლის, 65).

**სეოკ-ის პრეს-სამსახური.**

## ერთი „ოქრო", ერთი — „ვერცხლი"

გუშინ საღამოს, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ომზარ შოშიტაშვილმა** გვაცნობა, რომ ტირანაში დასრულდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ჭაბუკ ფალავანთა ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით ცნობილი აღმზრდელის **ვაჟა კრავეიშვილის** ხელმძღვანელობით მონაწილეობდა ამ დიდ ტურნირში.

თანატოლთა შორის კონტინენტის ჩემპიონის სახელი მოიპოვა თბილისელმა **...იაგო ხაჩიძემ** (69 კგ.), მეორე პრიზიორი გახდა ბათუმელი **არჩილ თურმანიძე** (42). გუნდი მეექვსე ადგილზე გავიდა.

## ერთად ვამხილოთ ნაკლოვანებები

დღეს, როგორც არასდროს, ქართული სახელმწიფო მხარში უდგას ქართულ სპორტს. წინსვლის ტენდენცია აშკარაა. თითოეული ჩვენგანის ვალია ჩავებათ საქართველოს სპორტული ქვეყნის მაღალი იმიჯის შექმნის საყოველთაო-სახალხო ფერხულში. სასურველი მიზნის მიღწევის დასაჩქარებლად აუცილებელია პრობლემების დროული დანახვა, შეფასება-ანალიზი და აღმოფხვრა. ნაკლოვანებებიც, მოდით, ერთად დავინახოთ. მოგვწერეთ, დაგვირეკეთ, ავტორის სურვილებისამებრ ანონიმურობა დაცული იქნება.

ტელ: 99-56-14; 899 55-48-97.

## გიგი უგულავას კარგად ესმის სპორტის სიკეთის მნიშვნელობა

თბილისი ყოველთვის იძლეოდა ქვეყანაში როგორც მაღალი ოსტატობის, ისე მასობრივი სპორტისადმი („სპორტი-ყველასათვის") სახელმწიფოებრივი ზრუნვის მაგალითს. თუმცა, იყო სავალალო ჩავარდნაც არცთუ შორეულ წარსულში. **ჭიაბერაშვილის** დედაქალაქის მერად მოსვლის შემდეგ სიტუაცია საიკეთოდ შეიცვალა და ახლა, ისე ჩანს, ტენდენცია არათუ გაგრძელდება, გაღრმავდება კიდეც.

გუშინწინ, თბილისის მერის მოვალეობის შესრულებას შეუდგა **გიგი უგულავა.** პირველსავე დღეს მან შემოიარა თბილისის უბნები და სპორტული მოედნებიც მოინახულა. ერთი მათგანის გახსნასაც დაესწრო, თანაც სპორტული ოსტატობის დემონსტრირებაც მოახდინა. შეხვდა მასივებში მცხოვრებ მოზარდებს, რომლებმაც „ძია გიგის" სპორტული მოედნის მოწყობა სთხოვეს. პასუხი, რა თქმა უნდა, დადებითი იყო. კონკრეტულად აი, ასეთი: „სათამაშო სპორტული მოედნების მოწყობა ჩვენი საზრუნავი იქნება, თქვენ ოღონდ ითამაშეთ, ცუდი არაფერი გააკეთოთ"!

გიგი უგულავა სპორტთან რომ უწყალოდ არ არის, აღნაგობაზეც ეტყობა და სიცოცხლის ხალისშიც. თანამედროვე ახალგაზრდა კაცი სპორტის ერთგული და ქომაგი რომ არ იყოს, გასაკვირი ის იქნებოდა. სხვათა შორის, მისი ბაბუა **ირაკლი უგულავა** ადრე „ლელოს" რედაქტორი იყო.

### რედაქტორის სვეტი

## ქართული სპორტის სტრატეგია

სტრატეგია თავისთავად დიდი სიკეთეა, უნარიანი ხელმძღვანელობის ხელოვნებაა. ვერც ერთი დარგი, მით უმეტეს, დღეს, თავს ვერ გაართმევს მოზღვავებულ პრობლემებს და სწორი გზით ვერ ივლის, თუ მოქმედების გეგმა წინასწარ კარგად მოფიქრებულ-გააზრებული არ არის.

გულწრფელად უნდა ვთქვა: იმის ანალიზი, რასაც ბოლო ხანებში ვაკვირდები და ვხედავ, უპირველესად კი შედეგი, ქართული სპორტის გულშემატკივრებში შეუვალ ოპტიმიზმს ამკვიდრებს.

რამ დაუდო სათავე სწორ სტრატეგიას? საქმეში ჩახედული ადამიანები უმალვე იტყვიან: სპორტისადმი სწორმა სახელმწიფო პოლიტიკამ. ის დადებითი მუხტი, რომელიც ქვეყანაში როგორც მაღალი მიღწევების, ისე მასობრივმა სპორტმა, ანუ მოძრაობამ „სპორტი – ყველასათვის" შეიძინა, უშუალოდ უკავშირდება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახელს. ჩვენი ეროვნული სპორტული მოძრაობის გადაუჭრელ პრობლემად ბოლო 15 წლის განმავლობაში რჩებოდა დაფინანსება. დღეს ამ მხრივ წარმოუდგენლად გაუმჯობესებულია მდგომარეობა. და, რაც მთავარია, საქართველოს სპორტული სამყაროს ბედი მხოლოდ ქვეყნის ბიუჯეტზე არაა დამოკიდებული. არ შეიძლება კმაყოფილებას არ იწვევდეს არა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების, არამედ, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ბიზნეს წრეების გამახვილებული ყურადღება სპორტისადმი.

სპორტის დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ოლიმპიური ფონდი ჰერკულესის სვეტებივით შესდგომიან ქართულ სპორტს. ყველაზე მაღალი რანგის სპორტულ ასპარეზობებში უკვე კონკრეტულად გამოჩნდა ერთი მიზნით გაერთიანების შედეგები.

უდავო სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ისიც, რომ სპორტულ ასპარეზობებზე ახლა უპირატესად, მხოლოდ იმ სპორტსმენებს აქვთ ანთებული მწვანე შუქი, რომლებსაც რეალურად შესწევთ მაღალი შედეგის მიღწევის უნარი. „ტურისტების" დრო წარსულს ბარდება. ეს პროცესი ჯერ კიდევ იხვეწება და საბოლოოდ უთუოდ გამოიღებს სასიკეთო შედეგს. საამაყო უკუგება – აი, რა არის მთავარი! ქართული სპორტის სტრატეგია ძალას იკრებს, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს ქვეყანა წინ მსოფლიო თანამეგობრობაში სპორტული ქვეყნის სახელის დასამკვიდრებლად.

ექსტრემალური სპორტი მთელ მსოფლიოში ყველაზე მამაცი და რისკიანი ადამიანების გატაცების საგნად იქცა. ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, ბუნებრივი პირობები იძლევა ექსტრემალური სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების შესაძლებლობას. ერთი მათგანია ჯომარდობა, რომლის მოყვარულები ამ დღეებში უკრაინიდან ჩამოვიდნენ საქართველოში და მდინარე არაგვის ხეობაში იოკებენ მძაფრი განცდების ჟინს ქართველებთან ერთად.

ეს მომენტი გუშინ მდინარე არაგვზეა დაფიქსირებული.



## კოკაი ივლისის ბაშოზე

მას შემდეგ, რაც წინა ბაშოზე, სუმოში პირველმა ქართველმა პროფესიონალმა **ლევან ცაგურიამ** იგივე **კოკაიმ,** ერთგვარი წარუმატებლობა განიცადა და მესამედან მეექვსე მაეგაშირაზე ჩამოქვეითდა. ივნისში ფორმა აღიდგინა, მშობლიურ საქართველოშიც გაატარა ერთი კვირა და ივლისის ბაშოს კარგად მომზადებული შეხვდა. ეს დაეტყო მის გამოსვლასაც. პირველი ოთხი შეხვედრა ჩვენებურმა ზედიზედ მოიგო. მის გარდა კიდევ ორმა განვლო ეს მონაკვეთი დაუმარცხებლად. გუშინ, მეხუთე შერკინებაში კოკაის მეტოქე იყო მისივე მეგობარი ოსი **როჰო.** სამწუხაროდ, ჩვენებურს ამ შეხვედრაში ხელი მოეცარა და მიმდინარე ბაშოზე პირველი დამარცხება იწვნია. დანაკარგი უიმედობის საფუძველს არ იძლევა. 24 ივლისამდე სუმოს ოსტატებს ჯერ კიდევ რჩებათ რამდენიმე ბრძოლა ჩასატარებელი.

## უეფამ გაზეთის დაბეჭდვამდე:

## „ჩელსი" და „ბარსელონა" დააჯარიმა

გუშინ უეფამ დააჯარიმა ესპანური „ბარსელონა" და ლონდონის „ჩელსი" ამა წლის 8 მარტს მომხდარი ინციდენტისათვის. იმ დღეს ლონდონში, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩი ამ გუნდებს შორის სკანდალით დასრულდა. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ლონდონელმა ფანატებმა სხვადასხვა ნივთები დაუშინეს ქვედა სექტორზე მსხდომ „ბარსელონას" გულშემატკივრებს, ამათ კი თავის მხრივ, ბოთლები ესროლეს გასახდელისკენ მიმავალ „ჩელსის" ფეხბურთელებს. ყოველივე ამის გამო, „ჩელსი" 13 ათას ევროს გადაიხდის, ხოლო „ბარსელონა" — 3602 ევროს.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონი, ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი

**ბიჭი მაისურაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის

# ძალოსნობას მჭქეფარე სიცოცხლე უბრუნდება

საქართველოში ძალოსნობა რომ აღმავლობის გზაზეა, ნათლად აისახა ამ დღეებში სპორტის დეპარტამენტის ძალოსნობის ცენტრალურ დარბაზში გამართულ საქართველოს 2005 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე ჭაბუკთა შორის.

ამ საინტერესო ღონისძიებაში მონაწილეობდა საქართველოს რეგიონებისა და ქალაქების 17-წლამდე 150 ჭაბუკი. სასიხარულოა, რომ ფიცარნაგს დაუბრუნდნენ: ზუგდიდის, თელავის, გარდაბნის, ხელვაჩაურის და სხვა ქალაქების და რაიონების წარმომადგენლები, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანან ერთ დროს ცნობილი ძალოსნური ცენტრების ოზურგეთისა და ახალციხის სპორტსმენები. განზრახულია და, ალბათ, მომავალი წლიდან ფუნქციონირებას დაიწყებს საჩხერეში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის **გიორგი ასანიძის** სახელობის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა და ქ. თბილისში გაუქმებული პროფკავშირული საზოგადოება „შევარდენის" სპორტსკოლის ნაცვლად, განათლების სამინისტროსთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ამ ოლიმპიური სპორტის სახეობაში მომეცადინეთა რაოდენობას.



ვაჟა ღონღაძე



კვარცხლბეკზე არიან მწვრთნელები. მარცხნიდან: გურამ მამიაშვილი (წყალტუბო), გურამ ფარულავა (თბილისი) და ბესო ბასილია (ჩაქვი).

ზემოაღნიშნულ ღონისძიებაზე დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელთა გუნდმა, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული იყო ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური კომპლექსური სპორტსკოლის სპორტსმენებით (დირ. **ავთანდილ მენაბდე**). მათ დიდი უპირატესობით აჯობეს ყველას გუნდურ ჩათვლაში. პირადში კი დაიკავეს 3 პირველი, 2 მეორე, 3 მესამე ადგილი. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გამარჯვებული გუნდი მთლიანად შედგებოდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **გურამ ფარულავას** აღსაზრდელებით.

გამარჯვებულებიდან 3-4 სპორტსმენს დაემატებიან: აჭარელი **ზ. აბულაძე** და ცხინვალელი **ბ. გაზაევი**, რომლებიც სპეციალური გრაფიკით გადიან წვრთნას რესპუბლიკის უფროსი მწვრთნელის **ივანე გრიქუროვის** მეთვალყურეობით და 21-28 აგვისტოს მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჭაბუკთა პირველობაზე ქ. სოფიაში, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის გენერალური მდივნის **რამაზ გურგენიძის** თავკაცობით.

დასასრულ, **ტექნიკური შედეგები: 45 კგ-მდე:** 1. გიორგი ლომთაძე (ქუთ) 45+60=105 კგ, 2. ლაშა კოპალიანი (წყალტ) 47,5+57,5=105 კგ, 3. კახა ჩიბურდანიძე (ჩაქვი, აჭ.) 45+55=100 კგ; **50 კგ-მდე:** 1.ვაჟა ქავთარაძე (ხელვაჩ) 60+80=140 კგ, 2. რომა სარქისიანი (თბ) 60+72,5=132,5 კგ, 3. ბექა აბდუშელიშვილი (საჩხ) 52,5+62,5=115 კგ; **56 კგ-მდე:** 1. გურამ გოგრაჭაძე (ჩაქვი, აჭ.) 70+90=160 კგ, 2. აკოფ ბაზეიანი (თბ) 62,5+80=142,5 კგ, 3. მანუჩარ კასაბიძე (ჩაქვი, აჭ.) 57,5+70=132,5 კგ; **62 კგ-მდე:** 1. გიორგი წიკლაური (თბ) 75+95=170 კგ, 2. გიორგი შუკაკიძე (საჩხ) 70+87,5=157,5 კგ, 3. ლაშა ლილუაშვილი (წყალტ) 70+85=155; **69 კგ-მდე:** 1. ალეკო მამიაშვილი (წყალტ) 95+115=210 კგ, 2. ჯაბა აბულაძე (ჩაქვი, აჭ) 90+110=200 კგ, 3. გიორგი ბედოშვილი (თბ) 82,5+102,5=185 კგ; **77 კგ-მდე:** 1. ნიკა თოდუა (თბ) 100+120=220 კგ, 2. ზურაბ გოგრაჭაძე (ჩაქვი, აჭ) 95+115=210 კგ, 3. ილიკო ჯალაღონია (ზუგ) 90+110=200 კგ; **85 კგ-მდე:** 1. ვაჟა ღონღაძე (ქუთ) 110+125=235 კგ, 2. ლევან გაბეცაძე (აფხ) 88,5+107,5=195 კგ, 3. პაატა აბაშიძე (საჩხ) 75+97,5=172,5 კგ, **94 კგ-მდე** 1. ბესო ლომიშვილი (თბ) 90+105=195 კგ. 2. ვალერი ლობჟანიძე (აფხ) 82,5+100=182,5 კგ, 3. ბონდო ბახტურიძე (თბ) 72,5+100=172,5 კგ; **+94 კგ-მდე:** 1. ზვიად ქაჯაია (წყალტ) 97,5+110=207,5 კგ, 2. თედორე შავაძე (ჩაქვი, აჭ) 70+85=155 კგ, 3. მანუჩარ იასალაშვილი (თბ) 60+85=145 კგ; **გუნდური:** 1. თბილისის ოლიმპიური რეზერვების სკოლა — 118 ქ. 2. ჩაქვი (აჭარა) — 97, 3. წყალტუბო — 91.

## კალათბურთი

# სტრატეგიას შეწირული სპორტული პრინციპი

კალათბურთში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში, ვარნაში, შეიძლება ითქვას, წარმატებით მონაწილეობს ჩვენი ნაკრები **ნუგზარ კანდელაკის** ხელმძღვანელობით. „ა" ჯგუფში საქართველოს გარდა გამოდიოდნენ ისლანდიის, ფინეთის, ირლანდიის, სლოვაკეთის და პოლონეთის გუნდები. ქართველმა ბიჭებმა შესანიშნავად გაიარეს სამი ტური, მოუგეს ისლანდიელებს — 85:58; ფინელებს — 73:58; ირლანდიელებს — 88:64, დამარცხდა სლოვაკეთთან — 65:71. ბოლო შეხვედრა კანდელაკის შეგირდებს ჰქონდათ პოლონელებთან. ეს მეტოქე ფინიშთან დაუმარცხებლად მივიდა. ჩვენ, როგორც ნახეთ, ერთი წაგებით. ცხადია, შეიძლებოდა უკომპრომისო ბრძოლა, მაგრამ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როცა წაგება სჯობს გამარჯვებას. კერძოდ, პოლონელებთან წაგებით ჩვენები თავიდან აიცილებდნენ მასპინძლებთან, ბულგარელებთან დაპირისპირებას ნახევარფინალში. თუ რატომ, გასაგებია. თუ შიშზე მიდგა საქმე, მაშინ პოლონელებისთვისაც არ უნდა ყოფილიყო სასურველი მასპინძლებთან დაჯახება საფინალო მატჩზე ადრე. მაგრამ, რაც გინდათ ის დაარქვით, პოლონელებმა ფარ-ხმალ დაყრილ ქართველებს შავი დღე აყარეს, 27 ქულის სხვაობით მოიგეს ეს მატჩი — 93:26 (20:15, 14:26, 28:13, 31:12). მერე ისიც გაირკვა, რომ სლოვაკებთანაც სტრატეგიული მოსაზრებით წაუგია გუნდს.

დღეს, 15 ივლისს მეოთხედფინალში ჩვენები ხვდებიან ბელგიელებს. ამ გუნდმა „ბ" ჯგუფში, ისევე როგორც ქართველებმა, ორი შეხვედრა წააგო და 8 ქულით მესამე ადგილზე გავიდა (ამდენივე ქულით ჩვენ მეორე ვიყავით ჯგუფში). საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯგუფებში გუნდები ასე განლაგდნენ:

| „ა" ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 5 | 5 | 0 | 10 |
| 2. საქართველო | 5 | 3 | 2 | 8 |
| 3. სლოვაკეთი | 5 | 3 | 2 | 8 |
| 4. ფინეთი | 5 | 3 | 2 | 8 |
| 5. ირლანდია | 5 | 1 | 4 | 6 |
| 6. ისლანდია | 5 | 0 | 5 | 5 |
| **„ბ" ჯგუფი** | | | | |
| 1. უნგრეთი | 5 | 4 | 1 | 9 |
| 2. ბულგარეთი | 5 | 4 | 1 | 9 |
| 3. ბელგია | 5 | 3 | 2 | 8 |
| 4. შვედეთი | 5 | 2 | 3 | 7 |
| 5. პორტუგალია | 5 | 2 | 3 | 7 |
| 6. ალბანეთი | 5 | 0 | 5 | 5 |

მიმომხილველი.

# უკვე მესამე ნომერი

## ოლიმპიური პანორამა

№ 3

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაზეთი „სპორტი", რომელიც თავიდან მკითხველს მოევლინა, როგორც „მთავარი სპორტი", ზოგადად ქართველი მკითხველის და, კერძოდ, სპორტის გულშემატკივართა საყვარელი ყოველდღიური გამოცემა გახდა. ნოვაციების ჩამოთვლა, რომელიც ამ გაზეთის შემოქმედებითი კოლექტივის უტყუარ მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს, შორს წაგვიყვანდა. ამჯერად ყურადღება გვინდა მივაპყროთ „სპორტის" ორკვირეულ 4-გვერდიან ჩანართს. ეს არის „ოლიმპიური პანორამა" (პროექტის კოორდინატორი მამუკა ჩიხლაძე), რომლის პირველი ნომერი ზუსტად ერთი თვის წინათ, 16 ივნისს იხილა დაინტერესებულმა მკითხველმა. ქართული სპორტით და მისი ავანგარდით — ოლიმპიური მოძრაობით კი ჩვენში ვინ არ არის დაინტერესებული.

გუშინ, ჩანართის მე-3 ნომერი გამოვიდა, რომელიც ძირითადად ეთმობა სოკ-ის ეგიდით ლინიანოში ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის VIII ოლიმპიური ფესტივალის შედეგებს და სინგაპურში სოკ-ის სესიაზე 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის შერჩევის პერიპეტიებს, ანუ თქვენს თვალწინ იშლება როგორც ავტორი, სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი წერს ქვესათაურში „ლია და კულუარული ომების ქრონიკა".

ლინიანოში, ფესტივალს ესწრებოდა „სპორტის" სპეციალური კორესპონდენტი ირაკლი თავაძე, რომელიც ვრცელ რეპორტაჟებში „ხუთი ჯვარი ხუთ რგოლში" და „აჰა, საოლიმპიადო გუნდი!" დაწერილებით და საინტერესოდ მოგვითხრობს ფესტივალზე ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენების როგორც სპორტულ, ისე სათავგადასავლო და ყოფით ამბებს.

ემზარ ზენაიშვილი ჩვეული ლოგიკური აზროვნების და მოვლენებში ინტუიციური წვდომის ფონზე ღრმად გვახედებს სინგაპურში გამართული ოლიმპიური სესიის სამზარეულოში და გვაზიარებს „კულუარული ომების" საიდუმლოებას.

დასასრულ, მკითხველს ვთავაზობთ კენჭისყრის შედეგებს, რომელიც ე. ზენაიშვილს თავის წერილში მოჰყავს.

| ქალაქი | IIტური | IIIტური | IVტური |
|---|---|---|---|
| ლონდონი | +5 | +12 | +15 |
| პარიზი | +4 | +8 | +17 |
| მადრიდი | +12 | -1 | - |

გაზეთ „სპორტისა" და სეოკ-ის ერთობლივი პროექტით გამომავალ ამ ჩანართის ოთხივე გვერდს გასდევს საერთო-სამოქმედო და მაორგანიზებელი დევიზი: „პეკინში უკეთ ვიდრე ათენში!"

# შეიძლება თუ არა სპორტული გამოცემების გამოწერა?

ამ დღეებში ბევრი გვირეკავს რედაქციაში ერთადერთი შეკითხვით: აქვთ თუ არა სპორტულ ორგანიზაციებს და სპორტულ სკოლებს, რომლებიც ფინანსდებიან ბიუჯეტიდან, „ლელოს" გამოწერის უფლება?

ამ საკითხმა, ბოლო დღეების განცხადებების ფონზე, ჩვენც დაგვაინტერესა და კონკრეტული პასუხის მისაღებად არაერთ უწყებას შევეხმიანეთ, მათ შორის იურიდიულს. თქვენ წარმოიდგინეთ, გადაჭრით იმის თქმა, რომ გაზეთის გამოწერა აიკრძალა, არ შეიძლება რამდენიმე გარემოების გამო:

1. არაა მიღებული ამკრძალავი საკანონმდებლო აქტი, ერთი ორგანიზაციის ინიციატივა კი არ შეიძლება ყველასთვის იყოს სავალდებულო;

2. თვით დარგობრივი მინისტრების გამოსვლებში გაიჟღერა, რომ ლაპარაკი არ არის დარგობრივი გაზეთის გამოწერის აკრძალვაზე.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, სპორტული პროფილის დაწესებულებებს არავინ უკრძალავს გამოიწეროს სპორტული გამოცემა, მაგრამ სხვა გამოცემები მათ შეუძლია გამოიწერონ საკუთარი სახსრებით.

# მილოცვები

სამტრედიის რაიონის სპორტის მუშაკები დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავენ ვეტერან სპეციალისტს, რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **ჯემალ ნიკურაძეს**.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტიტუტის 1962 წლის კურსდამთავრებულები დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავენ ღვაწლმოსილ პიროვნებას, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **ჯემალ ნიკურაძეს**.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური სასპორტო სკოლა დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს სამტრედიის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **ჯემალ ნიკურაძეს**.

# სამი შეკითხვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპორტული სკოლების ხელმძღვანელებს

სპორტისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება აშკარაა ქვეყანაში და ამას ყველა მიესალმება. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები საიმისოდ, რომ სპორტი ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის ფართო ფენებისთვის, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის.

„ლელოს" რედაქცია სამი შეკითხვით მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპორტული სკოლების დირექტორებს.

**1. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად და დიდი სპორტისთვის ნიჭიერთა უფრო ეფექტურად მოსამზადებლად, საჭიროა რეფორმა. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს საამისოდ?**

**2. აკმაყოფილებს თუ არა მატერიალურ-სპორტული ბაზა სკოლის მოთხოვნებს?**

**3. თქვენი აზრით, სპორტსკოლამ უნდა გაუწიოს თუ არა კოორდინაცია რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში და საჭიროა თუ არა ამისათვის სახსრების გამოყოფა?**

გთხოვთ, პასუხები მოგვაწოდოთ „ლელოს" რედაქციაში.

# 21-ე საუკუნის საკადრისი თაობის გუნდი

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის დახმარებითა და მხარდაჭერით ჩატარდა აფხაზეთში გმირულად დაღუპული **ნოდარ მელუას** ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში 1992-93 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის.

მონაწილეობდა 18 გუნდი, მატჩები ჩატარდა 2 წრედ. ნოდარ ახალკაცის სახელობის საფეხბურთო სკოლამ, „21-ე საუკუნემ" მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლო და მთავარ პრიზს დაეუფლა (მწვრთნელები გივი და გოგი ბუაძეები, სკოლის დირექტორი ნ. ლეჟავა).

ამ სკოლის გუნდმა მთელი ჩემპიონატი დაუმარცხებლად განვლო და გაიტანა 111 გოლი, გაუშვა მხოლოდ 2. გამარჯვებულ გუნდს აშკარად ეტყობოდა გამოცდილი და დამსახურებული უფროსი მწვრთნელის ხელი.

ტურნირის ბომბარდირის პრიზი დაიმსახურა ამავე სკოლის აღსაზრდელმა მიხეილ სარდლიშვილმა, რომელმაც მთელი ტურნირის განმავლობაში გაიტანა 30 გოლი. საუკეთესო მცველად აღიარეს გიორგი ძინძიბაძე, ნახევარმცველად — გიორგი ალავიძე, ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელად — გიორგი ქურდაძე. „21-ე საუკუნე" გასულია ფლე-ოფის ფინალში.

**სურათზე მარცხნიდან: I რიგში – გ. ჯიბლაძე, ბ. იმნაძე, გ. რუბანოვი, ს... ბუაძე (გუნდის თილისმა), გ. ქურდაძე, მ. სარდლიშვილი, ნ. ვაწაძე, ლ. შე... ლაძე, კ. ვარაზაშვილი; II რიგში – თ. ბალარჯიშვილი, ი. ჩალიკავა, მ. მან... დარია, გ. შანავა, ლ. შუკაკიძე, თ. ბო... ხუა, გ. შავშიშვილი, ზ. ბასილაშვი... ლი, თ. მანოშვილი; III რიგში – გოგი ბუაძე (მწვრთნელი), გ. ალავიძე (კაპიტანი), ბ. გარდაფხაძე, გ. შელია, გ. ძინძიბაძე, ი. უგრეხელიძე, კ. ბადრიძე, გოგი ბუაძე (მწვრთნელი).**

ფოტო რობერტ ბაგოიანისა.



# სოკ-ის სესიის გამოძახილი

სოკ-ის 117-ე სესიაზე, რომელიც სინგაპურში გაიმართა და ოლიმპიური პროგრამის საკითხიც განიხილა, როგორც ვწერდით, ბეისბოლი და სოფტბოლი ამოვარდა პროგრამიდან. სანაცვლოდ კი, დაზუსტებული ინფორმაციით, სპორტის ისეთმა სახეობებმა, როგორიცაა სკვოში, კარატე, გოლფი, რაგბი, გორგოლაჭებიანი ციგურები, მხარდაჭერა ვერ მიიღეს.

# ბაკურიანელობა მისთვის ყველაფერს ნიშნავს



მამა მეორე მსოფლიო ომში რომ გაიწვიეს, გურამ სანაკოევი 6 თვის იყო, დაიკო ციალა — 2 წლის. მამის სურათიც კი არ დარჩენიათ ოჯახში. შვილებმა მხოლოდ გადმოცემით იცოდნენ, რომ მამა — ბორისი მაღალი, გულადი ვაჟკაცი ყოფილა, ქერჩში იბრძოდა, შემდეგ კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. წამოიზარდა თუ არა, გურამი დედას გვერდით დაუდგა, ქალბატონი შურა დიაკონაშვილი, ეს მშრომელი და გამრჯე ქალი ცდილობდა შვილებისთვის ობლობა არ ეგრძნობინებინა, მაგრამ ომის თანმდევი გაჭირვება, მაინც გაჭირვებაა...

პატარა ბინა ჰქონდათ, მაგრამ ზამთრობით დამსვენებლები მაინც ჰყავდათ, მეტწილად, სტუდენტები. გურამს ბევრი მათგანი დაუმეგობრდა. მათ შორის იყო შემდგომში ესოდენ ცნობილი პიროვნება **ჯუმბერ პატიაშვილი.** ბატონ ჯუმბერს ძალიან შეუყვარდა ბაკურიანი და ბევრი სასიკეთო საქმეც გააკეთა დაბისთვის.

როგორც ყველა ბაკურიანელი მოზარდი, გურამიც თხილამურებით სრიალმა გაიტაცა, სპორტსკოლაში **ნიკოლოზ თვაურთან** მეცადინეობდა, მალე ნაკრებში მოხვდა, ფიზკულტურის ინსტიტუტშიც შევიდა, რომლის დამთავრების შემდეგ ჯავაში მთელი 5 წელიწადი იმუშავა ფიზაღზრდის მასწავლებლად. შემდეგ ბაკურიანის ცნობილ სათხილამურო ბაზაში განაგრძო შრომითი საქმიანობა — იყო უფროსი ინსტრუქტორი, დირექტორის მოადგილე, შემდეგ — დირექტორი. დღესაც იქვეა, ოღონდ, ახლა აქ ბაზა-სასტუმრო „ივერიაა", დირექტორის მოადგილედ მუშაობს. ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი, ყვავილი — აქ მისი ხელითაა დარგული, 40 წელია იქაურობა საკუთარ კარ-მიდამოდ იქცა მისთვის. ამ ათეული წლების განმავლობაში ერთი დღითაც არ უცხოვრია უსპორტოდ. ადრე საბჭოთა ნაკრების ოლიმპიადების მზადების ხელშეწყობაზე იყო თავგადაკლული. უფასებდნენ, ზამთრის თამაშებზე მიჰყავდათ. იყო საპოროში, ინსბრუკში, კალგარში. მსაჯობდა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებზე.

გურამს მეუღლე, ერთი ვაჟი და ერთი შვილიშვილი ჰყავს. ვაჟი ბორისი სპორტსმენი იყო, ახლა მწვრთნელია. აპრილი ორგზის საიუბილეო იყო ამ ოჯახში, გურამის დედა 15 აპრილს 85 წლის გახდა, თავად გურამი — 65-ის 25 აპრილს...

„ვოცნებობ ბაკურიანშიც ვიხილოთ ოლიმპიური ასპარეზობები, ეს თემა დღეს კვლავ დგას დღის წესრიგში. საქართველო და ბაკურიანი იმსახურებს ამ პატივს" — ამბობს გურამი.

**სოფიო ხეთაგაშვილი, ბაკურიანი.**

**სურათზე:** გურამ სანაკოევს ხშირად უწევს ასეთი სასიამოვნო მისიის შესრულება ზამთრის სეზონში.

# გამარჯვებული „მერანი"

ამ ბიჭებიდან, რომელსაც სურათზე ხედავთ, ბევრი შეიძლება დიდ ფეხბურთში მქუხარე სახელით ვიხილოთ ახლო მომავალში. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი, თვით ყმაწვილების გარდა, მათ აღმზრდელებს, კლუბის ხელმძღვანელობას და ახლობლებს ნამდვილად აქვთ.

საფეხბურთო კლუბი „მერანი" ერთ-ერთი აღიარებულია ქართულ საფეხბურთო სივრცეში. სხვადასხვა ასაკში გამართულ ტურნირებში აქაურ ნორჩ ფეხბურთელებს მრავალგზის მოუპოვებიათ გამარჯვება.

ეს ბიჭები (იხ. ფოტო) 1993-წლიანები არიან და თითოეულის სპორტულ ბიოგრაფიას უკვე არაერთი საამაყო წარმატება ამშვენებს. უდავოდ საამაყოა ისიც, როცა თანატოლთა შორის 24 რჩეულ გუნდთან ჭიდილში უძლიერესის სახელს მოიპოვებ და მთავარ პრიზს თ. სტეფანიას ხსოვნის თასს საკუთარ კლუბში დაუდებ ბინას.

ეს ასპარეზობა თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ ჩაატარა. ფინალში „მერანი" (მწვრთნელი გ. ბარამია, კლუბის პრეზიდენტი გ. ქიქავა) „ნორჩ დინამოელს" (მწვრთნელი თ. კაცია) დაუპირისპირდა და შთამბეჭდავად მოუგო (3-1). საუკეთესო თავდამსხმელად სწორედ გამარჯვებული გუნდის წევრი ბ. ქარდავა დასახელდა.



# ოლიმპიური ვიქტორინა

1) რამდენ ხანს გრძელდებოდა ზაფხულის II ოლიმპიური თამაშები პარიზში?

ა — ორი კვირა

ბ — ერთი თვე

გ — ხუთი თვე

2) ვინ იყო ის სპორტსმენი, რომელიც 1955 წელს ისე გარდაიცვალა, არც კი იცოდა, რომ 1900 წელს ოლიმპიური ჩემპიონი იყო ქალთა შორის გოლფში?

ა — მ. ებოტი

ბ — პ. უაიტლერი

გ — დ. რობერტსონი

3) რომელი ქვეყანა გახდა ზედიზედ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფეხბურთში 1908 და 1912 წლებში?

ა — საფრანგეთი

ბ — ინგლისი

გ — ურუგვაი

4) სად ჩატარდა 1936 წლის ოლიმპიური თამაშები?

ა — ამსტერდამში

ბ — ლოს-ანჯელესში

გ — ბერლინში

5) რომელი წლიდანაა შეტანილი ცხენის გაწვრთნა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში?

ა — 1908 წლიდან

ბ — 1912 წლიდან

გ — 1920 წლიდან

პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-გ, 5-ბ.

# მისასალმებელი ინიციატივა — გადაწყვეტილება

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირი სულს ღაფავდა, ბოგინობდა და უფსკრულისკენ მიექანებოდა, მაგრამ მთლიანად ჯერ კიდევ დაშლილი არ იყო. სწორედ იმჟამინდელი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მოხდა სრულიად მოულოდნელი და უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც 1990 წლის დასაწყისში, ნოდარ ფარსადანის ძე ახალკაცის შორსმჭვრეტელობით, ინტუიციით და, რაც მთავარია, მისი პირადი ინიციატივით და მოთხოვნით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელმა ყრილობამ მიიღო ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების დამოუკიდებლად ჩატარების შესახებ. ეს იყო ტოტალიტარიზმისადმი, დისკრიმინაციისადმი და ქართული ფეხბურთის შევიწროებისადმი აშკარა საპროტესტო გამოხმობა.

სულ მალე, 1990 წლის 24 თებერვალს, მოსკოვის გაზეთ „იზვესტიაში" გამოქვეყნდა ვინმე ს. ტარანოვის წერილი — „უმაღლეს ლიგაში — 14 გუნდი", სადაც ეწერა: „... სპორტი და პოლიტიკა კვლავაც „ერთი მთელია"? ე.ი. ისევ აღორძინდა პრინციპი, რომელიც დიდი ჯაფის ფასად უარვყავით?"

ს. ტარანოვის პასუხად შეიძლება ვთქვათ, რომ სპორტი და პოლიტიკა, რაც საბჭოთა კავშირი არსებობდა, ყოველთვის ერთად იყო, რომ სპორტი და პოლიტიკა „ერთი მთელი" არ არის მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყანა და პოლიტიკა სამართლებრივ საწყისებზეა აგებული, როდესაც სახელმწიფო დემოკრატიულ საფუძვლებზეა დამყარებული და მას დემოკრატიული მეთოდებით განაგებენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელმა გადაწყვეტილებამ გააბოროტა საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაცია და პირადად მისი თავმჯდომარე ვიქტორ კოლოსკოვი; მათ მიიღეს „საპასუხო გადაწყვეტილება" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გარიცხეს საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის წევრობიდან, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს გუნდებს ეკრძალებოდათ არა მარტო საბჭოთა, არამედ, საზღვარგარეთის ქვეყნების გუნდებთან შეხვედრა. საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის ასეთ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ფიფა-ს იმჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა (ამჟამად ი. ბლატერი ფიფა-ს პრეზიდენტია — გ.ჩ.).

უფრო მეტიც, საკავშირო ფეხბურთის ფედერაციამ ძალზე შორს გაუტია და საქართველოს მიმართ დაუშვა უხეში პოლიტიკური გამოხდომა და მის საშინაო საფეხბურთო საქმიანობაში ჩარევა, დააკმაყოფილა რა სოხუმის „დინამოს" თითქოსდა თხოვნა, რომ მას მონაწილეობა მიეღო საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდებს შორის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შესაბამისი პროტესტის პასუხად ვიქტორ კოლოსკოვმა განმარტა, რომ საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის წესდებით, თითქოსდა ეს დასაშვები იყო. მართლაც, სოხუმის „დინამო" დაუშვეს პირველ ლიგაში სათამაშოდ, მაგრამ ეს გუნდი იმდენად სუსტად მომზადებული აღმოჩნდა იმ პერიოდში, რომ კონკურენცია ვერ გაუწია მეტოქე გუნდებს და სულ მალე მეორე ლიგის ბინადარი გახდა. მერე კი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სოხუმის „დინამო", საერთოდ, გაქრა საფეხბურთო ჰორიზონტიდან და ისტორიის კუთვნილებად გახდა. აქვე დავუმატებ, რომ მას შემდეგ აფხაზეთში ფეხბურთი თითქმის ჩაკვდა და აქედან გამომდინარე, იქ აღარ ჩანან იმედის მომცემი ფეხბურთელები და არც არავინ იწუხებს თავს ფეხბურთის აღორძინებისა და განვითარების საქმისთვის.

არც თუ ისე შორეულ წარსულში, სოხუმი, გაგრა, გუდაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, ლესელიძე და სხვა ადგილები, ითვლებოდა ნორჩ და ჭაბუკ ფეხბურთელთა სამჭედლოდ. სწორედ აფხაზეთის შავიზღვისპირეთის თვალწარმტაც ადგილებში იხვეწებოდა ჩვენი ნორჩი, ჭაბუკი და ახალგაზრდა ფეხბურთელთა ოსტატობა, თანდათანობით ყალიბდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა მათი სათამაშო ტექნიკა, ტაქტიკა და ფიზიკური მომზადება. აფხაზეთმა მოგვცა ფეხბურთელთა მთელი პლეადა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ფეხბურთის დიდოსტატები: — ვალტერ სანაია, ვლადიმერ მარღანია, ამირან ტყებუჩავა, გიორგი ანთაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ნიაზ ძიპშიპა, ვლადიმერ თარბა, ფანას და იური ვარდიმიადები, იური გრამატიკოპულო, გენადი ბონდარენკო, ნიკიტა სიმონიანი, ვლადიმერ ბარქაია, გიორგი სიჭინავა, ალექსანდრე ილიადი, გოჩა გავაშელი, ვიტალი დარასელია, ახრიპ ცვეიბა, თემურ ქეცბაია და სხვები, რომლებმაც თავიანთი ბრწყინვალე თამაშით დაამშვენეს არა მარტო თბილისის „დინამო", არამედ, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის და სხვა ქალაქების გუნდები...




1925 წლის აფხაზეთის ნაკრები. მარცხნიდან: გუნდის შეფი-მწვრთნელი — ვ. არშბა, მეკარე — სეითბეი აჩბა, თავდამსხმელი — აშოტ კასპარიანი, მცველი — კოკა მიქაძე; თავდამსხმელები — ვანო ხოფერია, ლუსია არჩაია; ნახევარმცველები — ალექსანდრე ქუთათელაძე, ლეო ტუპენიანი, ალექსანდრე პანდელოვი; მცველი — ანდრო ხოფერია; თავდამსხმელი ნიკო ქოიავა.

შეუძლებელია არ გავიხსენოთ ისეთი უმაღლესი კლასის ოსი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ: ანდრეი ზაზროევი, ზაურ კალოევი, გურამ ცხოვრებოვი, ვლადიმერ გუცაევი, შოთა ხინჩაგაშვილი და სხვები, რომლებიც ფეხბურთის ნამდვილი პროფესიონალები იყვნენ და გამოირჩეოდნენ უმაღლესი ტექნიკით, იმპროვიზაციით და ტალანტით. დადგა დრო, როდესაც საჭირო და აუცილებელია კვლავ აღორძინდეს ახალი ძალით ფეხბურთი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში.

ახლახან საქართველოს ახლად არჩეულმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ნოდარის ძე ახალკაცმა ერთობ მისასალმებელი სიურპრიზი მოგვიმზადა, მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ სულ მალე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 12 გუნდის ნაცვლად 16 ითამაშებს და, რაც მთავარია, მასში მონაწილეობას მიიღებს სოხუმის „დინამო". აქედან გამომდინარე, საჭიროდ და აუცილებლად მიმაჩნია მივმართო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, რომ მან გაითვალისწინოს მრავალრიცხოვან გულშემატკივართა და ქომაგთა თხოვნა, რომ სოხუმის „დინამოსთან" ერთად საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის მისაღებად დაუშვას აგრეთვე ცხინვალის „ლიახვი". აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გუნდების მონაწილეობა დიდი სტიმული და კარგი დასაწყისი იქნება არა მარტო სპორტულ ცხოვრებაში, არამედ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის აღდგენის საქმეში.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ისტორიულად იყო და იქნება საქართველოს შემადგენელი რეგიონები.

**გურამ ჩხიკვაძე.**

# ამჯერად პრიზიორები გახდნენ

**„სპორტი-ყველასათვის!"**

სოფლის მეურნეობის სფეროში ახალგაზრდებს რომ სპორტი, განსაკუთრებით კი, ფეხბურთი იტაცებდეს, სულაც არაა გასაკვირი. ასეცაა. მართალია, სოფლის მუშაკთა სპარტაკიადები აღარ ტარდება (დარგის პროფკავშირი დუმს, თავს არ იტკიებს), მაგრამ სხვადასხვა შეჯიბრებაზე ამ ხალხმრავალი სფეროს წარმომადგენლები მაინც ჩნდებიან ხოლმე.

სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი (თავმჯდომარე იროდი ბეჟაშვილი) ერთადერთია დარგობრივ პროფკავშირებს შორის, რომელიც სისტემატურად მართავს სხვადასხვა შეჯიბრებებს მშრომელთა და მათი ოჯახის წევრების მონაწილეობით. ფეხბურთს კი ერთ გუნდში, ერთნაირი გატაცებით თამაშობენ ამა თუ იმ სფეროში დასაქმებული სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ფეხბურთელთა კოლექტივმა, რომელსაც სურათზე ხედავთ, ამ დღეებში სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სპარტაკიადაზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა 14 გუნდს შორის მინიფეხბურთში. გუნდის მთავარი მწვრთნელია ნუგზარ ფირანიშვილი, რომელსაც ტურნირის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი გადაეცა.

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა.



# „დინამომ“ პირველი წააგო

**12 ივლისი. ტალინი. სტადიონი „კადრიორგი“. 2000 მაყურებელი**
**ლევადია (ესტონეთი) – დინამო (საქართველო) 1-0**

**ლევადია:** კოტენკო, კალიმულინი, ჩეპაუსკასი, შიშოვი, ხოხლოვ-სიმსონი, ნაჰკი, ვასილიევი, დოვიდენასი, დმიტრიევი, ტენისტე (კასიმირი, 46), ლეიტანი (პურიე, 60).

**დინამო:** სტურუა, ალადაშვილი, გიგაური, ორბელაძე, კანდელაკი, ოდიკაძე, ნოზაძე, ბაბუნაშვილი, ნავალოვსკი, მელქაძე, მეგრელაძე (ბობოხიძე, 63).

**გოლი:** 1-0 ნაჰკი (45 პ.).

**გააფრთხილეს:** კალიმულინი (22), ალადაშვილი (26), ორბელაძე (44), პურიე (84), დმიტრიევი (86).

**მსაჯი:** მ. კორტნი (ჩრდ. ირლანდია).

ვერ გამოდგა დინამოელთა წლევანდელი ევროპული სტარტი იღბლიანი. ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში, ჩვენი ჩემპიონი ტალინში ადგილობრივ „ლევადიასთან“ პაექრობაში მინიმალური ანგარიშით დამარცხდა. თავისთავად, 0-1 დამარცხება საგანგაშო არ არის, წინ ხომ თბილისური საპასუხო შეხვედრაა, მაგრამ დამაფიქრებელი გუნდის ფსიქოლოგიური განწყობა და მეტოქის შეუფასებლობაა, რომელმაც დასანანი მარცხი გამოიწვია. მით უმეტეს მაშინ, როდესაც უკეთესი შედეგის მიღწევაც და საეჭვო პენალტიდან გაშვებული გოლის გაბათილებაც შეიძლებოდა. საპასუხო მატჩი ერთ კვირაში გაიმართება, მანამდე **კახა ცხადაძეს** და მის შეგირდებს წაგების მიზეზების უკეთ გაანალიზება მართებთ, რათა საშუალოზე დაბალი დონის ესტონური „ლევადია“ ჩვენი პირველი გუნდისთვის გადაულახავ ბარიერად არ იქცეს.

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006 წლები

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

კაირატი (ყაზახეთი) — პეტრჟალკა (სლოვაკეთი) 2-0
ნეფთჩი (აზერბაიჯანი) — ჰაფნარფიორდური (ისლანდია) 2-0
დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ანართოსისი (კვიპროსი) 1-1
რაბოტნიჩკი (მაკედონია) — სკონტო (ლატვია) 6-0
სლიმა (მალტა) — შერიფი (მოლდოვა) 1-4
ლივერპული (ინგლისი) — ლანსანტფრეიდი (უელსი) 3-0
ჰაკა (ფინეთი) — პიუნიკი (სომხეთი) 1-0
HB ტორსჰავნი (ფარერები) — კაუნასი (ლიტვა) 2-4
ნოვა გორიცა (სლოვენია) — ტირანა (ალბანეთი) 2-0
გლენტორანი (ჩრ. ირლანდია) — შელბურნი (ირლანდია) 1-2
დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — ზრინსკი (ბოსნია) 0-1

# პირველი ლიგის თვრამეტეული

უმაღლესი ლიგის მსგავსად, ნელ-ნელა იკვეთება პირველი ლიგის კონტურებიც, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა. პირველი ლიგის კლუბების რაოდენობა, სავარაუდოდ, თვრამეტი გუნდით განისაზღვრება. ლიგის გათამაშებაში, ალბათ იასპარეზებენ შარშანაც მოთამაშე გუნდები, რომელთაც დაემატებიან ლიგიდან გავარდნილი და რეგიონალური ლიგის სამი ზონის მოწინავე კლუბები. ამასთანავე, თითოეულმა კლუბმა სფფ-ში და პროფლიგაში ტურნირში მონაწილეობაზე თანხმობა წერილობით უნდა წარმოადგინოს.

მთლიანობაში, პირველ ლიგაში იასპარეზებენ: „ვიტ ჯორჯია“2, „დინამო“2, „ლოკომოტივი“2, „თბილისი“2, „ამერი“2, (ყველა — თბილისი), „გაგრა“, ხაშურის „ივერია“, წნორის „მილანი-მერანი“, „საგარეჯო“, ქიათურის „მალაროელი“, ტყიბულის „მეშახტე“, წალკის „თრიალეთი“, აგარის „მეშაქრე“, საჩხერის „ჩიხურა“, ლანჩხუთის „გურია“, „რუსთავი“, ახალციხის „მესხეთი“ და სენაკის „სენაკური“.

# მომავლისას დღეს იტყვიან

ეროვნული პირველობის სტარტამდე ფეხბურთის ფედერაციას და პროფლიგას სხდომები მოელოდება. დღეს, სფფ-ს სააქტო დარბაზში 12 საათზე სფფ-ს აღმასკომის სხდომას პირველად მოიწვევს პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი. სხდომა განსახილველ საკითხთა სიმრავლით არ გამოირჩევა, მაგრამ თითოეულ მათგანს ფედერაციის შემდგომი მუშაობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სფფ-ს აღმასკომმა ახალი სტრუქტურა და საშტატო განრიგი უნდა დაამტკიცოს, საფეხბურთო სამყაროს სფფ-ს ახალი გენერალური მდივანი უნდა წარუდგინოს. რამდენიმე თვეში კი ფედერაციის რიგგარეშე X ყრილობას მოიწვევს, რომელზეც ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს საბოლოო, სამოქმედო ბეჭედი დაესმება.

ქ. თბილისი. 15 ივლისი. 12 საათი. სფფ-ს აღმასკომის დღის წესრიგი:

1. სფფ-ს ახალი სტრუქტურის და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ;
2. სფფ-ს გენერალური მდივნის დამტკიცების შესახებ;
3. სფფ-ს რიგგარეშე X ყრილობის მოწვევის შესახებ.

ზუსტად ერთ კვირაში, მომავალ პარასკევს, 22 ივლისს, 14 საათზე, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი ისევ გაიმართება. იგი კონკრეტულად საქართველოს XVII ეროვნული ჩემპიონატის და დავით ყიფიანის სახელობის თასის XVI გათამაშების რეგლამენტზე და დებულებაზე იმსჯელებს. ასევე, 22 ივლისს, 12 საათზე, პროფესიული ფეხბურთის ლიგა კონფერენციას მოიწვევს, ჩემპიონატის და თასის გათამაშების დებულებებს მიიღებს, მერე კი სფფ-ს აღმასკომს წარუდგენს დასამტკიცებლად.

სფფ და პროფლიგა ნაბიჯ-ნაბიჯ კინძავენ ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურას. დადგინდა ერთობლივი კომისია, რომელიც უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებს შეამოწმებს. კომისიის წევრები არიან: პროფლიგის გენმდივანი რევაზ ლორთქიფანიძე, საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ კაკულია, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ოთარ გუნთაძე და აგრონომი ლევან ცხოვრებაშვილი.

კომისია შარშანდელივით კლუბებს საგარანტიო თანხას აღარ მოსთხოვს. შეამოწმებს კლუბების ბიუჯეტს და შემოსავალს. თავისთავად სფფ-მ პროფლიგას მოსთხოვა კლუბების ჩემპიონატში მონაწილეობისთვის განსაზღვრული საწევროების დეტალური ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა.

დღეს, აღმასკომის სხდომის შემდეგ, სფფ-ს პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი კლუბების ხელმძღვანელებსაც შეხვდება და თანამშრომლობის საკითხებზე დაელაპარაკება.

ქ. თბილისი. 22 ივლისი, 14 საათი. სფფ-ს აღმასკომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს XVII ეროვნული ჩემპიონატისა და დ. ყიფიანის სახელობის თასის XVI გათამაშების დებულების დამტკიცების შესახებ;
2. სხვადასხვა.

# ფიფამ ფეხბურთის წესები შეცვალა

მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ფიფას ფეხბურთის წესების საერთაშორისო საბჭოს თამაშის წესებში ცვლილებები და დამატებები ყოველწლიურად შეაქვს. მიმდინარე წლის 26 თებერვალს, უელსის ქალაქ გლემორგანში საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც საფეხბურთო წესებში შეტანილი რამდენიმე ცვლილება დაკანონდა, რომელიც ძალაში შევიდა 1 ივლისიდან.

წესი №3 — მოთამაშეთა რაოდენობა

ამ წესის რედაქცია შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ეროვნულ ნაკრებთა მატჩებისას შეიძლება განხორციელდეს მაქსიმუმ ექვსი ცვლილება. ყველა სხვა შეხვედრაში დაიშვება უფრო მეტი რაოდენობის ცვლილება, თუ მეტოქე გუნდები ერთმანეთში შეთანხმდებიან შეცვლების რაოდენობაზე და მატჩის დაწყებამდე აცნობებენ მსაჯს. თუ გუნდების შეთანხმება არ მოხდა და მსაჯს არაფერი აცნობეს, დაიშვება მხოლოდ ექვსი შეცვლა.

იმავე წესის მესამე ქვეპუნქტი ასე შესწორდა: თუ სათადარიგო მოთამაშე შევიდა მოედანზე, მატჩი განახლდება თავისუფალი დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ბურთი თამაშის შეჩერების მომენტში.

**წესი №5 — რეფერი**

მსაჯს შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება (საკუთარი შეხედულებით) ან არბიტრის ასისტენტის რეკომენდაციით, მხოლოდ იმ პირობით, თუ მსაჯმა არ განაახლა თამაში ან არ დაამთავრა მატჩი.

ცვლილებები შეეხო „თამაშგარე“ მდგომარეობის და აქტიურ თამაშში ჩართვის წესებს, წესების დარღვევას და უდისციპლინო საქციელს, თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის და ბურთის გვერდითი (აუტი) ხაზიდან თამაშში დაბრუნების წესებს.

აღსანიშნავია, რომ ფიფას დირექტივები და ინსტრუქციები ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მათი მიღებისთანავე.

ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი ფეხბურთის წესებში მომხდარ ცვლილებებს მუდმივად აცნობდა კლუბებს. ეს პრაქტიკა ახლაც გაგრძელდება. **ანატოლი მილჩენკოს** განმარტებით, იგი მზადაა კლუბებისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს განუმარტოს გუნდების ხელმძღვანელებს და ფეხბურთელებს ახალი ცვლილებების არსი. გაუწიოს მათ თეორიული და პრაქტიკული (ვიდეო მასალის ჩვენებით) დახმარება, რათა უკეთესად იქნეს ათვისებული და გათავისებული ყველა ის ცვლილება, რაც თამაშის ორგანიზაციას გაუადვილებს მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, კლუბების მესვეურებს, გულშემატკივრებს და ჟურნალისტებს. მატჩების მსვლელობისას კი შეამცირებს მსაჯების გადაწყვეტილებებით გამოწვეულ გაუგებრობებს, გამორიცხავს ინციდენტებს.

კლუბებისთვის საფეხბურთო წესების გაცნობა, მათი ახსნა-განმარტება, გათვალისწინებულია ჩემპიონატის რეგლამენტით. აქედან გამომდინარე, კლუბების მესვეურები ვალდებულნი არიან ისარგებლონ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის დახმარებით და თავიანთი შეხედულებით აცნობონ კომიტეტის ხელმძღვანელობას მათი კლუბში მოწვევის დრო და თარიღი.

სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი კლუბების მესვეურებს თხოვნით მიმართავს არ დააყოვნონ და მათი მეშვეობით დროულად გაეცნონ წესებში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებს.

# რკინიგზელებმა სპონსორები გამოაჩინეს

თბილისის „ლოკომოტივი“ თურქეთიდან დაბრუნდა, მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა და გუშინ, უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩიც ჩაატარა ერევანში ადგილობრივ „ბანანცთან“.

ახალი სეზონისთვის საქართველოს თასის მფლობელს რამდენიმე ახალი სპონსორი გამოუჩნდა. გუნდი ქართული მანუფაქტურული კომპანია „საროს“ სპორტული ფორმით შეიმოსება. კლუბთან ითანამშრომლებენ: „კანარგო“, რომელსაც ბენზინგასამართი სადგურების ქსელი აქვს და მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანია „ბახმარო“, რომელიც თავის ნაწარმს მეტოქე გუნდებსაც მიაწვდის. „ლოკომოტივის“ თამაშებზე უსაფრთხოებას და წესრიგს დაიცავს კლუბის კიდევ ერთი სპონსორი „ალიგატორი“. გუნდს შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ ერთად კვლავ პატრონობს „ლოკომოტივის“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი შპს „აბრეშუმის გზა“.

# სოხუმის „დინამო“ „შევარდენზე“ გაამწესეს

უკვე გადაწყვეტილია, უმაღლესი ლიგის დებიუტანტი სოხუმის „დინამო“ ეროვნული ჩემპიონატის საშინაო მატჩებს თბილისში „შევარდენის“ სტადიონზე გამართავს. გუნდი სეზონისთვის სამზადისს განაგრძობს. **გოჩა ჟორჟოლიანის** განკარგულებაში საქართველოს პირველობაზე ნაწრთობი არაერთი ფეხბურთელია. ბორჯომიდან **ზ. კვეკვესკირი**, ზესტაფონიდან **ვ. გუჩუა**, ბოლნისელები: **მ. რუსია, თ. უგრეხელიძე, ა. ლაბაძე, ბ. შენგელია**, წყალტუბოელი **თ. ჯაფარიძე**, ფოთიდან **ჯ. შალამბერიძე**, თბილისელები **გ. ჟვანია** და **ლ. ჯანგიძე**. გურიიდან **გ. ჩხაიძე**, რუსთავიდან **სილაგაძე**. ჟორჟოლიანის შეგირდები მზადებას, სავარაუდოდ, ლაგოდეხში ან გრიგოლეთში გააგრძელებენ.

# „კოლხეთი“ მერმა შეიფარა

**ფოთელთა გაჭირვებას წერტილი დაესვა. კოლხთა გაურკვეველ მდგომარეობას ქალაქის მერიამ უშველა. გუნდშიც ოპტიმისტურმა განწყობამ დაისადგურა და კლუბის მესვეურები გუნდის გაწყობას ენერგიულად შეუდგნენ.**

„კოლხეთის“ მეპატრონე ქალაქის საკრებულო და მერია გახდა. კლუბის უწინდელი პატრონი ფოთის პორტიც მეტნაკლებად დააფინანსებს გუნდს. კლუბის პრეზიდენტის მოვალეობებს კი ფოთის მერი **ვანო სადინაძე** შეასრულებს. მთავარი მწვრთნელი **სოსო ფილია** იქნება, მისი თანაშემწეები კი — **ნუგზარ მიქაბერიძე** და **მამუკა მიქავა**. ეროვნულ პირველობაზე გუნდი ძირითადად ახალგაზრდული შემადგენლობით იასპარეზებს. ახლა მიწვეული ფეხბურთელების ინტენსიური გასინჯვები მიმდინარეობს. გამორიცხული არ არის, კოლხებს გუნდიდან ამჟამად წასული, რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც დაუბრუნდეს.

## მ. მესხის და ვ. დარასელიას სახელობის თასების გათამაშების ფინალური მატჩების შესახებ

**მ. მესხის სახელობის თასის (1988-წლიანებისთვის) გათამაშების ფინალური მატჩი თბილისის „ოლიმპიკსა“ და ზუგდიდის „ოდიში-2001“-ს შორის ნაცვლად 15 ივლისისა, გაიმართება 16 ივლისს მ. მესხის სახელობის სტადიონზე. დასაწყისი 18 საათზე.**

**ვ. დარასელიას სახელობის თასის (1990-წლიანებისთვის) ფინალური მატჩი თბილისის „ოლიმპიკსა“ და ქუთაისის „ქუთაისს“ შორის ჩატარდება 18 ივლისს.**

**დასაწყისი 18 საათზე.**

# „ამერი“ აზერბაიჯანშია

თბილისის „ამერმა“ საკონტროლო მატჩი სოხუმის „დინამოს“ 3-2 მოუგო, მერე აიბარგა და აზერბაიჯანის ქალაქ ქუბაში გაემგზავრა. გიორგი ჩიხრაძის შეგირდები ოლიმპიური რეზერვების სპორტულ კომპლექსში დაბინავდნენ და სეზონისთვის მზადებას მეზობელ ქვეყანაში დაასრულებენ.

# საფეხბურთო ვიქტორინა

1. დაასახელეთ ლეგენდარული მეკარე, რომელმაც თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში 5 მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშა.
   - ა — იაშინი
   - ბ — ბენქსი
   - გ — კარბახალი
2. რომელ წელს მიიღო ფიფამ გადაწყვეტილება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების შესახებ?
   - ა — 1926 წელს
   - ბ — 1927 წელს
   - გ — 1928 წელს
3. რომელ წელს დაკანონდა პროფესიული ფეხბურთი და სად?
   - ა — 1885 წელს, ინგლისში
   - ბ — 1886 წელს, ურუგვაიში,
   - გ — 1887 წელს, იტალიაში
4. რომელი წლიდან ტარდება საერთაშორისო შეჯიბრებები საკლუბო გუნდებს შორის ცენტრალურ ევროპაში?
   - ა — 1926 წლიდან
   - ბ — 1927 წლიდან
   - გ — 1928 წლიდან
5. რომელი წლიდან ატარებს უეფა ჭაბუკთა ტურნირს?
   - ა — 1948 წლიდან
   - ბ — 1949 წლიდან
   - გ — 1951 წლიდან

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-ა.

„ლელოზე“ ხელმოწერა გრძელდება

3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი
ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესას“, „მაცნეს“, „ინფოსერვისს“, „უწყებანს“

# ხიზანიშვილს გუნდიდან უშვებენ



საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველს **ზურაბ ხიზანიშვილს** ამჟამინდელ კლუბში საქმეები კარგა ხანია აერია. ზურაბმა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და სასტარტო ჩამონათვალში თითქმის აღარც ჩანდა. შოტლანდიურ „რეინჯერსში“ მისი ახალი სეზონის პერსპექტივებიც ბუნდოვანია. გუნდის მწვრთნელის **ალექს მაკლიშის** განცხადებით, ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსის“ რიგებში დარჩენას აზრი არ აქვს, რადგან მწირი შანსია იგი ძირითად გუნდში მოხვდეს და მუდმივად ითამაშოს.

სამწუხაროდ, რეალობა უნუგეშოა. არადა, ასეთი პერსპექტიული ფეხბურთელის უქმად ყოფნა არც თავად ზურაბის შემდგომ კარიერას, არც ეროვნულ გუნდს წაადგება სასიკეთოდ. გამოსავალი, ალბათ, ახალი გუნდის ძიებაშია.

„ქართული ფეხბურთის“ რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## გაიბრწყინებს ისევ „ოქროს ბიჭუნა“?

**მიმდინარე წლის 29 აგვისტოს, მონტე-კარლოში, საზეიმო ცერემონიალზე დაასახელებენ „გოლდენ ფუთ“-ის მესამე ლაურეატს. ეს პრიზი დაფუძნებულია კომპანია „უორლდ ჩემპიონს კლუბ“-ის მიერ. ნომინანტთა სიაში ათი ფეხბურთელია: მალდინი, შევჩენკო, ვან ნისტელროი, კრესპო, ფიგუ, რომარიო, კანი, რონალდო, ზიდანი და ბექჰემი. დღეს დევიდ ბექჰემზე ვისაუბრებთ, რომელიც ინგლისურ ფეხბურთში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ფიგურაა.**



დევიდ ბექჰემი დაიბადა 1975 წლის 2 მაისს ლონდონის აღმოსავლეთით, ლეიტონსტოუნის რაიონში. 11 წლის ასაკში ის გახდა ოსტატობაში კონკურსის გამარჯვებული ბობი ჩარლტონის საფეხბურთო აკადემიაში. პატარა დევიდი ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში ორკვირიანი საგზურით დააჯილდოვეს. იქ მან ივარჯიშა „ნოუ კამპზე“ კატალონიური კლუბის მოთამაშეებთან ერთად. თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ ეს იყო ბექჰემის ბრწყინვალე კარიერის დასაწყისი. ჯერ კიდევ 1986 წელს ბობი რობსონმა თქვა: „ამ ფეხბურთელს დიდი მომავალი აქვს, — აუცილებლად ვარსკვლავი გახდება...“ აკი ახლა კიდეც ინგლისური ფეხბურთის ლეგენდის სიტყვები.



12 წლის ბექჰემი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა გასინჯა და თვალში მოუვიდა. სპეციალისტს გულმა უგრძნო, რომ დევიდის გამოჩენა „მანჩესტერ იუნაიტედის“ რიგებში მხოლოდ დროის საქმე იყო, — მაშინ ფეხბურთელს პირველ კონტრაქტამდე ოთხი წელი რჩებოდა... 1991 წელს ბექჰემი ლონდონიდან მანჩესტერში გადაბარგდა. პირველივე სეზონში ის „მანჩესტერ იუნაიტედის“ იუნიორთა გუნდთან ერთად ინგლისის თასის მფლობელი გახდა. ამ იუნიორთა გუნდს, რომელსაც „ფერგიუსონის ბარტყებს“ ეძახდნენ, თამაშობდნენ: გიგზი, გარი ნევილი, ბატი, სქოულზი...

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ძირითად შემადგენლობაში დევიდ ბექჰემის დებიუტი 1992 წლის 23 სექტემბერს, ლიგის თასზე გამართულ მატჩში („ბრაიტონთან“) შედგა. პირველი გოლი 1994 წელს გაიტანა ჩემპიონთა ლიგის მატჩში „გალათასარაისთან“. იმავე სეზონში „მანჩესტერ უინაიტედის“ ხელმძღვანელობამ დევიდ ბექჰემი არენდით გადასცა „პრესტონს“, მაგრამ ხუთი მატჩის შემდეგ ის კვლავ გამოიძახა ფერგიუსონმა.

1995-1996 წლებში „ფერგიუსონის ბარტყებმა“ „ოქროს სეზონი“ ჩაატარეს, — „მანჩესტურ იუნაიტედმა“ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც და თასიც. ბექჰემმა 8 გოლი გაიტანა და საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე. მისი გოლებიდან ყველაზე დასამახსოვრებელი იყო „უიმბლდონის“ კარში გატანილი 60 მეტრი მანძილიდან.

ბექჰემის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ცოლად შეირთო „სფაის გერლზის“ წევრი ვიქტორია ადამსი. თვით დევიდს კი ინგლისური ფეხბურთის „ოქროს ბიჭუნა“ უწოდეს.

ამის შემდეგ ბექჰემის კარიერაში დაღმასვლა დაიწყო. მოხდა ისე, რომ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის პირველი მატჩები მან სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ინგლისის ნაკრების მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა ჩათვალა, რომ ბექჰემი არ იყო კონცენტრირებული ასეთი საპასუხისმგებლო მატჩებისათვის. დევიდი მხოლოდ მესამე შეხვედრაში გამოჩნდა კოლუმბიელებთან, საჯარიმო დარტყმით გოლი გაიტანა და ინგლისის ნაკრებს ფლეი-ოფში თამაშის საშუალება მისცა.

არგენტინის ნაკრებთან მერვედფინალური მატჩის მეორე ტაიმში ბექჰემი მოედნიდან გააძევეს, უკაპიტნოდ დარჩენილი ინგლისის ნაკრები კი პენალტების სერიაში დამარცხდა და მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთიშა. მატჩის შემდეგ, გასახდელში ბექჰემი... ტიროდა.

ერთი წლის შემდეგ, ის „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივართა კერპი კვლავაც გახდა. გუნდმა შეასრულა არა მხოლოდ „დუბლი“ ინგლისში, არამედ, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულიც გახდა. ფინალში ბექჰემმა და მისმა თანაგუნდელებმა უკანასკნელ წუთზე გაათანაბრეს ანგარიში „ბაიერნთან“ გამართულ ფინალურ მატჩში, დამატებით დროში კი „ოქროს გოლიც“ გაიტანეს. საგოლე გადაცემები სწორედ ბექჰემმა შეასრულა. ალექს ფერგიუსონსაც და დევიდ ბექჰემსაც სიხარულის ცრემლები სდიოდათ. რა იცოდნენ მაშინ, რომ გაივლიდა ცოტა ხანი და მათ შორის „შავი კატა გაირბენდა“, რა იცოდნენ, რომ გაჯავრებული ფერგიუსონი შეგირდს სახეში ბუცს ესროდა. ბექჰემმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ დატოვება გადაწყვიტა. მასში „რეალმა“ 24,5 მილიონი ევრო გადაიხადა.

„ინგლისში ექვსჯერ გავხდი ჩემპიონი, მოვიგე ქვეყნის თასი და ჩემპიონთა ლიგა. ახლა მსურს, ესპანეთშიც გავიმარჯვო“, — განაცხადა ბექჰემმა ესპანეთის პრიმერადივიზიონის გათამაშების დაწყებამდე.

სამწუხაროდ, მან „სამეფო კლუბში“ ორი წლის განმავლობაში ვერაფერი მოიგო. ამას დაემატა ინგლისის ნაკრების წარუმატებლობა ევროპის შარშანდელ ჩემპიონატში. ზოგიერთმა სპეციალისტმა ჩათვალა, რომ ბექჰემმა ამით დაასრულა ბრწყინვალე კარიერა, მაგრამ... არიან თუ არა მართლები სკეპტიკოსები, ამას ახალი სეზონი გვიჩვენებს. ბევრს სჯერა, რომ ბექჰემი ისევ გაიბრწყინებს...

## წაართმევს ბერეზოვსკი აბრამოვიჩს ლონდონის „ჩელსის“?

### ოლიგარქებს შორის დავას სასამართლო გადაწყვეტს

**რუსმა ოლიგარქმა ბორის ბერეზოვსკიმ, შესაძლოა, ჩუკოტკის გუბერნატორს რომან აბრამოვიჩს წაართვას ლონდონის საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ საკონტროლო აქციათა პაკეტი. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ბერეზოვსკი სასამართლო პროცესს მოუგებს აბრამოვიჩს. სადავო საკითხი 7,5 მილიარდი დოლარია. ეს განაცხადა კიდეც ბერეზოვსკიმ ჟურნალისტებთან საუბარში.**

**საქმე ის არის, რომ ბერეზოვსკის თქმით, აბრამოვიჩმა აიძულა იგი, დათანხმებოდა OPT-ს სანავთობე კომპანია „სიბნეფტისა“ და ალუმინის წარმოების კომპანია „რუსალის“ აქციების გაყიდვას რეალურზე ნაკლებ ფასში. ბერეზოვსკი აცხადებს, რომ აბრამოვიჩი რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის უშუალო მითითებით მოქმედებდა.**



**საინფორმაციო საიტების ცნობით, აბრამოვიჩის საზღვარგარეთულ აქტივებზე გამოძიება სექტემბერში დაიწყება.**

**„აბრამოვიჩს ბევრი აქტივები აქვს საზღვარგარეთ. სწორედ ის ფლობს „მილჰაუზ კეპიტალს“, ლონდონის „ჩელსის“. აქვს სხვა კაპიტალური დაბანდებები. თუ მას სასამართლო პროცესის წაგების შემთხვევაში, არ ექნება თანხის გადახდის საშუალება, სიამოვნებით მივიღებ ლონდონის „ჩელსის“, — განაცხადა ბორის ბერეზოვსკიმ, რომელიც ინგლისში პოლიტიკური დევნილის სტატუსით ცხოვრობს.**

## კინი აზიაში არ წავა

ცნობილია, რომ ინგლისური საფეხბურთო კლუბი „მანჩესტურ იუნაიტედი“ ტურნეს გამართავს აზიაში. გუნდს არ გაჰყვება კაპიტანი როი კინი. ამის მიზეზად ასახელებენ ტრავმას. ჯერჯერობით არავინ იცის რა დრო დასჭირდება ფეხბურთელს რეაბილიტაციისათვის.

## ვიეირა „იუვენტუსში“ ითამაშებს

ტურინის „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ განაცხადა, რომ ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა მისი გუნდის შემადგენლობაში ითამაშებს. „ეს იმას ნიშნავს, რომ „ბებერი ქალბატონი“ საკმაოდ სერიოზულ შევსებას მიიღებს. დარწმუნებული ვარ, პატრიკ ვიეირას წარმატებების მოტანა შეუძლია ჩვენი გუნდისათვის“, — თქვა მოჯიმ.

## ფიგუ ინგლისსა და იტალიას შორის

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ ყველა დარწმუნებული იყო, რომ პორტუგალიური ფეხბურთის ვარსკვლავი ლუიშ ფიგუ, რომლისთვისაც ადგილი აღარ დარჩა მადრიდის „რეალში“, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდის — „ლივერპულის“ ღირსებას დაიცავდა, მაგრამ ბოლო მომენტში ფიგუს მარშრუტი შეიცვალა, — ამიერიდან პორტუგალიელი მილანის „ინტერში“ ითამაშებს.

არადა, „ლივერპულის“ მთავარ მწვრთნელს რაფაელ ბენიტესს ძალიან სურდა, თავისი გუნდის შემადგენლობაში ეხილა, მაგრამ ყველაფერი „სამეფო კლუბთან“ ფინანსურ საკითხში შეუთანხმებლობამ გადაწყვიტა.



საინტერესოა, რომ „რეალი“ 33 წლის ფეხბურთელში არცთუ დიდ თანხას ითხოვდა — 3 მილიონ ევროს... ასეთი ფულის გადახდისათვის მზად არის მილანის „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი, რომელიც ფიგუში კრისტიან ვიერის შემცვლელს ხედავს. სხვათა შორის, „ინტერის“ ხელმძღვანელობა მზად იყო ფიგუში ედგარ დავიდსი გაეცვალა, მაგრამ ჰოლანდიელით „რეალში“ ნამდვილად არ არიან დაინტერესებულნი, მით უმეტეს, რომ ცენტრალური მცველის ადგილზე უკვე ჰყავთ ახალი ფეხბურთელი — არგენტინელი პაბლო გარსია.

ჯერჯერობით ფიგუ ლუშემბურგოს ხელმძღვანელობით აგრძელებს ვარჯიშს. აქვე გეტყვით, რომ ესპანეთის „სამეფო კლუბში“, შესაძლოა, მალე გამოჩნდეს ბრაზილიელი რობინიო, რომელმაც უარი თქვა სატრანსფერო თანხიდან საკუთარი წილის, — დაახლოებით 5 მილიონი ევროს მიღებაზე. ამით „სანტოსის“ მოთამაშემ დაამტკიცა, რომ „რეალში“ ფულის გულისთვის არ მიდის.

## რევაზ ძოძუაშვილი „სკონტოს“ უხელმძღვანელებს?

ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩებიდან რამდენიმე მათგანი ფეხბურთის გულშემატკივართა ინტერესს იწვევდა.



ბოლო ტურნირის გამარჯვებულმა „ლივერპულმა“ საკუთარ მოედანზე 3-0 დაამარცხა უელსური „ტნს“. სამივე გოლი სტივენ ჯერარდის ანგარიშზეა.

ამ მატჩში „ლივერპული“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რეინა, ფინანი, ჰიუიპია, კარაგერი, უორნოკი (ზენდენი, 64), პოტერი (სისე, 76), ალონსო, ჯერარდი, რიისე, ლე ტალეკი, მორიენტესი.

ბევრისთვის მოულოდნელი გამოდგა რიგის „სკონტოს“ გამანადგურებელი მარცხი სტუმრად „რაბოტნიჩკთან“. ლატვიელებმა 6 გოლი გაუშვეს (!). მატჩის შემდეგ „სკონტოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა იური ანდრეევმა, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „ბოლო პერიოდში „სკონტოში“ არცთუ ჯანსაღი სიტუაცია შეიქმნა. ამის მიზეზები არასაფეხბურთოა. გადავწყვიტე, რომ ამ სიტუაციიდან წავიდე. ჩემი ადგილი უნდა დაიკავოს ახალმა მწვრთნელმა, რომელიც გააერთიანებს მოთამაშეებს“.



არ არის გამორიცხული, „სკონტოს“ მთავარი მწვრთნელი გახდეს, ამავე გუნდის ვიცე-პრეზიდენტი რევაზ ძოძუაშვილი.

მინსკის „დინამომ“ კვიპროსულ „ანორთოსისს“ უმასპინძლა, რომლის შემადგენლობაშიც მოედანზე გამოვიდა თემურ ქეცბაია. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, — 44-ე წუთზე გოლი ფრუსოსმა გაიტანა. მეორე ტაიმის დაწყებიდან ცოტა ხანში ლენცევიჩმა წონასწორობა აღადგინა. დარჩენილ დროში გოლი აღარ გასულა და შეხვედრაში ფრე — 1-1 დაფიქსირდა.

**ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპის სრული ანგარიშები იხილეთ მე-4 გვერდზე.**

## რომეო და «ოსასუნა»

**ესპანურ „ოსასუნას“ ხელმძღვანელობამ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა არგენტინელ ფორვარდთან ბერნარდო რომეოსთან. ეს უკანასკნელი ბოლო სეზონში „მალიორკას“ ღირსებას იცავდა. რომეო ესპანეთში შარშან გამოჩნდა, მანამდე კი არგენტინულ „ესტუდიანტესში“, „სან-ლორენცოსა“ და გერმანულ „ჰამბურგში“ ასპარეზობდა. „მალიორკაში“ არენდით თამაშობდა, მაისში კი თავისუფალი აგენტი გახდა.**

**„ოსასუნას“ ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ რომეო სარგებლობას მოუტანს გუნდს. აღსანიშნავია, რომ პრიმერადივიზიონის გარდა, რომეოს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი ევროპულ არენაზეც მიეცემა, — „ოსასუნა“ უეფას თასის გათამაშებაში ჩაებმება.**



## „პალერმომ“ მაკინვუ იყიდა

იტალიის სერია „ა“-ში მოასპარეზე „პალერმომ“ „ატალანტასაგან“ 7,5 მილიონ ევროდ შეიძინა ნიგერიელი თავდამსხმელი სტივენ მაკინვუ. 21 წლის ფეხბურთელმა სიცილიურ კლუბთან 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. გასული სეზონი მაკინვუმ „ჯენოაში“ დაიწყო. სერია „ბ“-ში ჩატარებულ 18 მატჩში 6 გოლი გაიტანა. ამა წლის იანვარში ბერგამოს „ატალანტაში“ გადავიდა და სერია „ა“-ში, 17 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, გაიტანა 6 გოლი, მაგრამ ამით „ატალანტას“ არაფერი ეშველა.

## პანკარო «ფიორენტინაში»

იტალიის საფეხბურთო კლუბ „ფიორენტინას“ ღირსებას დაიცავს იტალიის ნაკრების ყოფილი მცველი ჯუზეპე პანკარო. ამ ფეხბურთელს მაისში დაუმთავრდა კონტრაქტი „მილანთან“, თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო და „ფიორენტინასთან“ ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 33 წლის პანკარო მესამე შენაძენია „ფიორენტინასთვის“ მას შემდეგ, რაც ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი ჩეზარე პრანდელიმ დაიკავა. პანკარომდე „ფიორენტინასთან“ კონტრაქტები გააფორმეს სტეფანე ფიორემ და გოლკიპერმა სებასტიან ფრეემ.



## გუტი — ლონდონი თუ ლივერპული?

მადრიდის „რეალის“ რიგებს ტოვებს კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე — ხოსე მარია გუტიერესი, ანუ უბრალოდ, გუტი. ის კარიერას ინგლისში გააგრძელებს, თუმცა, ჯერ არავინ იცის, რომელ კლუბში. გუტის შეძენისთვის იბრძვიან ლონდონის „ტოტენჰემი“ და ლივერპულის „ევერტონი“.



მიუხედავად იმისა, რომ „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელობა საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს ფეხბურთელს, სპეციალისტები მაინც ფიქრობენ, რომ გუტი „ევერტონში“ გადავა. მას გარანტირებული აქვს ადგილი ძირითად შემადგენლობაში, და კიდევ ერთი, — „ევერტონი“ ხომ ევროპის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩაებმება. თვით ფეხბურთელის აგენტმა ზორან ვეკიჩმა გავრცელებულ ხმებს მისი კლიენტის ინგლისში გადაბარგებასთან დაკავშირებით, ნაადრევი უწოდა.

P.S. გუშინ მადრიდის „რეალის“ ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ განაცხადა, რომ მზად არის „ლივერპულთან“ მოლაპარაკებები განაახლოს.

# ნბა

## დარჩება ლარი ბრაუნი „დეტროიტში"?

ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ არა ცნობილი სპეციალისტი ლარი ბრაუნი ნბა-ს კლუბ „დეტროიტის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ის შეხვდა და ესაუბრა გუნდის მფლობელს ბილ დევიდსონს.

„ჩვენ შიდა პრობლემები განვიხილეთ, უახლოეს დღეებში კვლავ დავჯდებით მოსალაპარაკებლად და ამის შემდეგ გადავწყვეტ, დავრჩები თუ არა „დეტროიტში," — განაცხადა ლარი ბრაუნმა.

ზოგიერთ საინფორმაციო საიტზე უკვე გამოჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „დეტროიტს" ჩაიბარებს მაიკ ბუზკოკი, რომელიც ამ გუნდთან რამდენიმეწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

## რახმანი კლიჩკოს ემუქრება

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონი ჰასიმ რახმანი 13 აგვისტოს იბრძოლებს მონტე ბარეტოსთან. ამ შეხვედრაში გამარჯვებული მოიპოვებს ვბც-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონთან ვიტალი კლიჩკოსთან ბრძოლის უფლებას.

ბარეტოსთან ბრძოლას რახმანი ახალ მწვრთნელთან ერთად ხვდება.

— „ახალი მწვრთნელი მყავს — ტელ ტორენსი და მისი წყალობით დღითიდღე ვიმაღლებ დონეს. გპირდებით, რომ დავუბრუნებ ბრწყინვალებას სუპერმძიმეწონოსანთა „დივიზიონს". მე ვიტალი კლიჩკოს დავანახვებ, თუ რას ნიშნავს ნამდვილი ჩემპიონი. მონტე ბარეტოსაც და უკრაინელ მოკრივესაც ნოკაუტში გავგზავნი," — იმუქრება ჰასიმ რახმანი.

## მომავალ ორთაბრძოლაზე მოილაპარაკეს

ვბც-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი, პროფესიონალი მოკრივე ვიტალი კლიჩკო, სექტემბერში შეხვდება ამერიკული კრივის ამომავალ ვარსკვლავად წოდებულ კელვინ ბროკს. ამის შესახებ განაცხადა პრომოუტერთა კომპანია „მეინ ევენთის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ მორეტიმ. ბროკი სწორედ ამ კომპანიის ეგიდით ასპარეზობს. მხარეებმა კი მოილაპარაკეს, მაგრამ ჯერჯერობით არ არის ცნობილი, დართავს თუ არა ნებას ვბც უკრაინელ მოკრივეს სექტემბერში დაიცვას ტიტული.

## ბმვ და «ტოიოტა» ძრავებს გამოცდიან

2006 წლის სეზონში „ფორმულა-1"-ში მასიური ტექნიკური პროგრესია მოსალოდნელი. მოხდება ბოლიდების გადასვლა რვაცილინდრიან ძრავებზე. ამ დღეებში ბმვ და „ტოიოტა" გამოცდიან ახალ ძრავებს. ტესტრბოლები „უილიამსის" ბოლიდზე მოხდება, რომლის საჭესაც მიუჯდება ბრაზილიელი ტესტპილოტი ანტონიო პიცონია. შეგახსენებთ, რომ ტესტირებები უკვე გაიარეს „ჰონდასა" და „მერსედესის" ძრავებმა.



## «ლეგენდათა რბოლა»

ხვალ, გერმანიის ქალაქ ნორისრინგის ავტოდრომზე გაიმართება მეტად საინტერესო სპორტული შოუ — „ლეგენდათა რბოლა", რომელშიც „ფორმულა-1"-ის ლეგენდარული პილოტები — ნაიჯელ მენსელი და ალენ პროსტი მიიღებენ მონაწილეობას. მათ გარდა იასპარეზებენ ემერსონ ფიტიპალდი და ჯოდი შექტერი, რომლებიც „ფორმულა-1"-ში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ მეოცე საუკუნის 70-იან წლებში, აგრეთვე, ავტორბოლებში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მიკ დუენი. ხუთივე პილოტმა „დე-ტე-ემის" სერიის ავტომანქანებით უნდა იასპარეზონ. გამარჯვებულად გამოცხადდება ის პილოტი, რომელიც ყველა ჩათვლაში საუკეთესო დროს აჩვენებს. რბოლებზე შემოსული თანხა — დაახლოებით 500 ათასი ევრო ქველმოქმედებას მოხმარდება.

## ნჰლ-ში ლოკაუტი დასრულდა



ნჰლ-ს და ჰოკეისტთა ასოციაციის ხელმძღვანელებმა, როგორც იქნა, მიაღწიეს შეთანხმებას და 21 ივლისს ერთმანეთთან ახალ 6-წლიან კონტრაქტს გააფორმებენ, — ეს იმას ნიშნავს, რომ ნჰლ-ში ლოკაუტი დასრულდა და შემოდგომაზე ჩემპიონატი განახლდება.

600-გვერდიანი კონტრაქტის შემუშავება ამა წლის 16 თებერვლის შემდეგ მიმდინარეობდა. ორივე მხარის წარმომადგენლები 82-ჯერ (!) შეხვდნენ ერთმანეთს. დაადგინეს, რომ კლუბებში მოთამაშეთა საერთო ანაზღაურება 21 მილიონ დოლარზე ნაკლები არ უნდა იყოს და არც 39 მილიონს უნდა გადააჭარბოს. გამომუშავების ფონდი არ უნდა აღემატებოდეს ნჰლ-ის შემოსავლის 54 პროცენტს.

ამ პრინციპით გამოდის, რომ რაც უფრო მეტ შემოსავალს მიიღებს ლიგა, ჰოკეისტის ანაზღაურებაც მეტი იქნება.

და კიდევ, 2004-2005 წლების გაცდენილი სეზონისთვის ჰოკეისტები ერთ ცენტსაც არ მიიღებენ.

## იყიდეთ შარაპოვას «ფეხები»!..



რუსი ჩოგბურთელის მარია შარაპოვას პოპულარობა დღითი დღე იზრდება. განსაკუთრებით ბევრი გულშემატკივარი ჰყავს იაპონიაში და ეს არც არის გასაკვირი, რადგან უკვე სამი წელიწადია, იგი ტოკიოს საერთაშორისო ტურნირებს იგებს. უიმბლდონის ტურნირიდან ნაადრევ გამოთიშვასაც არ მოუხდენია გავლენა შარაპოვას პოპულარობაზე იაპონიაში.



ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ „ამომავალი მზის ქვეყანაში" გამოჩნდა საფოსტო მარკები რუსი ლამაზმანის გამოსახულებით, რომლებიც დიდი რაოდენობით გაიყიდა. დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩოგბურთის ბურთები შარაპოვას სილუეტით. იაპონიაში მოქმედებს კომპანია „შარაპოუენი", რომელიც სხვადასხვა სახის პროდუქციას აწარმოებს და სარეკლამოდ მარია შარაპოვას სახელს იყენებს. ახლახან კომპანიამ გამოუშვა საკმაოდ ორიგინალური ბალიშები, თანაც ორი ტიპის: ერთი მათგანი ჩოგბურთელის მკერდის „ასლია" და 17 დოლარი ღირს, ხოლო მეორეს შარაპოვას მშვენიერი ფეხების ფორმა აქვს და ღირს 29 დოლარი. იაპონელი ჩოგბურთის ფანები ძირითადად 29 დოლარიან ბალიშებზე აკეთებენ არჩევანს.

## ანდრე აგასი: „პოლიტიკაში არაფერი მესაქმება"



ამერიკელმა ჩოგბურთელმა ანდრე აგასიმ უარი განაცხადა პოლიტიკური კარიერის დაწყებაზე. ამ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა ყოფილმა პოლიტიკოსმა ჯილ ეისნერმა ურჩია ჩოგბურთელს, საზოგადოების წინაშე ახალ ამპლუაში წარდგენილიყო. ეისნერს სჯეროდა, რომ აგასი, ისევე პოპულარული იქნება პოლიტიკაში, როგორც ჩოგბურთში...

„ჩემს უახლოეს გეგმებში სულაც არ შედის პოლიტიკაში გადასვლა. მე კვლავ ვაგრძელებ ჩემს საჩოგბურთო კარიერას და ვმუშაობ საკუთარ საქველმოქმედო ფონდთან. დღეისათვის 35 წლის აგასის მეთხუთმეტე ადგილი უკავია რეიტინგში. თავის ცხრამეტწლიან საჩოგბურთო კარიერაში აგასიმ ერთეულთა თანრიგში 59 ტიტული მოიპოვა, მათ შორის, „დიდი სლემის" ტურნირებში. 4-ჯერ მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა, ხოლო თითოჯერ – „როლან გაროსი" და „უიმბლდონი". გარდა ამისა, ორჯერ გახდა აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი, 1996 წელს ატლანტაში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში ანდრე აგასიმ ოქროს მედალი მოიპოვა.

## ფედერერი ოლიმპიურ ოქროს მედალს უმიზნებს

შვეიცარიელი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი კმაყოფილია, რომ 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს ლონდონი უმასპინძლებს. ის შვიდი წლის შემდეგ ბრიტანეთში ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებასაც კი გეგმავს. ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა ჩოგბურთელის დედამ — ლინეტმა.

— „როგორც კი შეიტყო როჯერმა, რომ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ლონდონში ჩატარება გადაწყდა, ტელეფონით დამიკავშირდა და განმიცხადა, რომ აუცილებლად მოიპოვებს უმაღლესი სინჯის მედალს. მას არ აბრკოლებს ისიც, რომ 2012 წლისათვის უკვე 30 წლის იქნება," — ამბობს ლინეტი.



## 6 წლის შემდეგ...

6-წლიანი შესვენების შემდეგ საჩოგბურთო კორტზე კვლავ გამოჩნდა გერმანელი შტეფი გრაფი. მან მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში. 36 წლის გრაფი „ჰიუსტონის" ღირსებას იცავდა. ერთეულთა თანრიგში გრაფი დამარცხდა „საკრამენტოს" წარმომადგენელთან ელენა ლიხოვცევასთან — 4:5, შემდეგ ქალთა შორის მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ენსლი კარგილთან ერთად დაუპირისპირდა ლიხოვცევასა და ანა კურნიკოვას დუეტს და კვლავ მარცხი იწვნია — 2:5. სამაგიეროდ, გრაფმა შერეულ წყვილთა მატჩში მარდი ფიშერთან ერთად დაამარცხა კურნიკოვა — მარკ ნოულზის წყვილი — 5:3. საბოლოოდ, „საკრამენტომ" 21:18 დაამარცხა „ჰიუსტონი".

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**15 ივლისი, პარასკევი**

საქართველოს ტელევიზია. მზე. „ავტოგრაფი მზის ობიექტზე" — ნინო სალუქვაძე (22.45). *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი. დევისის თასი, მე-2 რაუნდი, რუსეთი — საფრანგეთი, პირდაპირი (12.55). ტაილანდური კრივი (19.30). „სპორტული გლობუსი" (21.30). „ნოკაუტი" (22.00) ჭადრაკი, სუპერტურნირი დორტმუნდში (23.15). „ყველაფერი რაგბიზე" (23.45). „სპორტული გლობუსი" (0.30). EUROSPORT. რალი, მსოფლიო ჩემპიონატი (10.30). ცხენოსნობა, ეროვნებათა თასი (11.00). ფრენბურთი, მსოფლიო გრან პრი (12.00). ველორბოლა, ტურ დე ფრანსი (12.45, 16.30, 0.00). საპლაჟო ფრენბურთი, მსოფლიო ტური (20.00). ფეხბურთი. „Peace Cup" კორეაში (21.00). მსოფლიოს უძლიერესი ადამიანები: ჰოლანდიიდან (22.00). კანადიდან (23.00). ევროსპორტის ახალი ამბები (2.00, 3.15).

**16 ივლისი, შაბათი**

*НТВ плюс спорт.* ფრენბურთი. მსოფლიო სერია გრან პრი, ქალები, პირდაპირი (7.30, 1.00). ჭადრაკი, სუპერტურნირი ლინარესში (9.30, 0.30). ჩოგბურთი. დევისის თასი, მე-2 რაუნდი, რუსეთი — საფრანგეთი, პირდაპირი (13.10). ბილიარდი, საერთაშორისო ტურნირი „შესანიშნავი რვიანი": კანიბეკ საგინდიკოვი (ყაზახეთი) — იური სოსნინი (რუსეთი) — (17.30). „დიდი რინგი" (19.55). მძლეოსნობა, საერთაშორისო შეჯიბრება. გრან პრი, პირდაპირი ესპანეთიდან (21.55). EUROSPORT. ფრენბურთი, მსოფლიო გრან პრი, პირდაპირი იაპონიიდან (10.00, 19.30). საპლაჟო ფრენბურთი, მსოფლიო ტური, ვაჟები, პირდაპირი (15.00). ველორბოლა, ტურ დე ფრანსი, პირდაპირი (16.00). ფეხბურთი, „Peace Cup", კორეა (21.00). ევროსპორტის ახალი ამბები (1.30, 3.45).

**17 ივლისის, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია.** პროგრამა „ოლიმპიური ინტერიერი" (16.30). **რუსეთის 1-ლი არხი.** კრივი. უძლიერესი პროფესიონალთა შორის: ჟან მარკ მორმეკი — უეინ ბრეითუეიტი (23.40). *НТВ плюс спорт.* ფრენბურთი, მსოფლიო სერია გრან პრი, ფინალი, ქალები (7.30, 23.30). „ყველაფერი რაგბიზე" (9.00). ჭადრაკი. დორტმუნდის სუპერტურნირი (9.30, 23.00). ჩოგბურთი. დევისის თასი, მე-2 რაუნდი: რუსეთი — საფრანგეთი, პირდაპირი (12.55). მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება გრან პრი, პირდაპირი (18.55). ხელჩართული ბრძოლა, საერთაშორისო შეჯიბრება მოსკოვში (22.30). EUROSPORT. ფრენბურთი, მსოფლიო გრან პრი, პირდაპირი (10.00, 12.00). რალი, მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში (13.30). ველორბოლა, ტურ დე ფრანსი, პირდაპირი (15.00). ცურვა, მსოფლიო ჩემპიონატი (19.45, 23.30). ავტორბოლები, მსოფლიო სერია რენო (23.15).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 2. კრივში ბრძოლის დაწყება-შეწყვეტის სიგნალი, 6. ევროპის საფეხბურთო ასოციაცია (შემოკლებით), 8. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 9. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 11. სპორტის ზამთრის სახეობა, 13. ფალავნებით ცნობილი რაიონი რაჭაში, 15. ქართული ორთაბრძოლების საზოგადოება, 16. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, 18. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, 19. ჭვეყნის პრეზიდენტი, ძიუდოისტი, 21. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 24. ლეგენდარული საბჭოთა ვაჟი ტანმოვარჯიშე, 25. ნბა-ს ცნობილი კალათბურთელი, 26. „ლივერპულის" ყოფილი მწვრთნელი.

**შვეულად:** 1. ძიუდოს სამშობლო, 2. ჭიდაობის ცენტრი ქართლში (ქალაქი), 3. ფრანგი ვეტერანი ჩოგბურთელი ვაჟი, 4. ცნობილი რუსთაველი საკალათბურთო მწვრთნელი, 5. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 6. მძლეოსნური იარაღი, 7. კონტინენტი, სადაც ჩატარდა ფეხბურთში ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი, 10. ჭადრაკში დაცვის ნაირსახეობა, 11. ცნობილი ინგლისელი საფეხბურთო მწვრთნელი, 12. ცნობილი ვეტერანი გერმანელი ფეხბურთელი, 14. ჩოგბურთელ მესხის სახელი, 17. სსუ-ს კალათბურთელი, 20. ფეხბურთელ გომეშის სახელი, 21. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია, 22. ქუთაისის სარაგბო კლუბი, 23. ცნობილი ვეტერანი ინგლისელი მორბენალი.



მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 5. როგე, 7. „ალანია", 8. კილი, 9. შანხაი, 10. ბიბა, 12. ბოუ, 13. სოსლანი, 16. ცხაკაია, 19. ლუკა, 20. პაიკი, 21 „ბრანი", 23. აზარიანი.

**შვეულად:** 1. ლუისი, 2. შაიბა, 3. ჩარლტონი, 4. ბაშო, 5. „რენი", 6. გრაბოვსკი, 10. ბა, 11. ანა, 14. შხარა, 15. აკინი, 17. აპია, 18. დიდა, 19. ლიპი, 22. ლი.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. სემიონოვი

(1989 წ.)



შამათი 3 სვლაში

№53-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.ლh2! -- 2. ლa2X

1. ..... მc5 2. მb4X, 1. ..... მd4 2. e4X, 1. ..... ეc7 2. კ:e6X, 1. ..... ეd6 2. ლ:d6X, 1. ..... ე:g4 2. ლe5X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გახჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com